მაგისტრატურის პროგრამა (EMBA)

ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისთვის

Business Administration for Executve Managers

პროექტი

პროგრამის სპეციფიკა: სამაგისტრო პროგრამაში აქცენტი კეთდება ბიზნესის თანამედროვე მართვის ყველა სფეროს ურთიერთკავშირის შესწავლაზე; კომპანიის სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზების უნარების ჩამოყალიბებაზე გლობალური პროცესების ჭრილში ორგანიზაციული მდგრადობისა და მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ორიენტირებულია არამხოლოდ ახალი მმართველობითი უნარების ჩამოყალიბებაზე, არამედ სტრატეგიული მართვის უნარების და ლიდერული თვისებების განვითარებაზე. შესაბამისად, პროგრამის მიზანია სტრატეგიული აზროვნების, კომპანიებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების უნარების ჩამოყალიბება და ლიდერული უნარების განვითარება, რაც უზრუნველყოფს კომპანიის განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას და რეალიზებას ზოგადი, ფუნქციონალური (ფინანსური, მარკეტინგული, ოპერაციული, ორგანიზაციული და სხვ.) გამოწვევების გათვალისწინებით მისი ეფექტურად და ეფექტიანად მართვისთვის.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები: უმაღლესი განათლების საფეხური: II (მაგისტრატურა); მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Executive Master of Business Administration in Management (EMBA) (კვალიფიკაციის კოდი: 0413). სწავლების ენა: ქართული; პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობა (60 ECTS-ის კრედიტი; 1 კრედიტი = 25 სთ) და სტრუქტურა, შედგება სასწავლო კურსებისა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და პროექტისგან. პროგრამის ხანგრძლივობა: 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი).

კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობა: სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ განკუთვნილია საშუალო რგოლის პროფესიონალებისთვის, რომლებსაც სურთ შეიძინონ და/ან გაიუმჯობესონ მენეჯერული, ასევე ბიზნესის მართვის უნარები და ლიდერობის შესაძლებლობები კარიერის გასაგრძელებლად. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებში, აღმასრულებელი მენეჯერის ან კონსულტანტის პოზიციაზე მენეჯმენტის, ბიზნესის განვითარებისა და კორპორატიული სტრატეგიის მიმართულებით; საერთაშორისო და მულტინაციონალურ კორპორაციებში ლიდერულ პოზიციებზე გლობალური ბიზნესის განვითარება-გაფართოების მიმართულებით; არაარაკომერციულ ორგანიზაციებში, სამთავრობო უწყებებში ან საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებში, პოზიციებზე, სადაც მას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და გაუმკლავდეს რთულ სოციალურ, გარემოსდაცვითი და საჯარო პოლიტიკის გამოწვევებს; კორპორატიულ საბჭოებში, საკონსულტაციო საბჭოებში ან სამეთვალყურეო საბჭოებში სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და მმართველობის ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად; წამოიწყოს ან შეუერთდეს სტარტაპს, როგორც დამფუძნებელი აღმასრულებელი ან/და სხვ.

პროგრამაზე სწავლის წინაპირობები: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში. დამატებითი მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. შიდა საუნივერსიტეტი გამოცდები (გასაუბრება) ტარდება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შიდა გამოცდების საკითხები წინასწარ განთავსდება ბტუ-ს ვებგვერდზე www.btu.edu.ge). ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ.: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი); შესაბამისი ინფორმაციის შემცველი - უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მი¬ერ გაცემული ვალიდური სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ. (მაგ., საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთათვის - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ინგლისური ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატი), საერთაშორისო სერთიფიკატები (მაგ., Cambridge English First (FCE), IELTS 5-6.5, TOEFL paper 513-547, TOEFL iBT - 72-94, PTE General Level 3 59-75, BEC Vantage, TOEIC Listenins and Reading - 785, TOEIC Speaking and Writing - 310, Trinity ISE II) და ან სხვ. პირი, რომელსაც სურს წინამდებარე პროგრამაზე სწავლა, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1 დონის ფლობა - წარმოადგინოს ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიაროს შიდა გასაუბრება/ტესტირება ქართულ ენაში (სერტიფიკატის წარმოდგენისა და შიდა გასაუბრების/ტესტირებისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც საქართველოში ქართულ ენაზე აქვთ მიღებული სრული ზოგადი განათლებ ან აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქართულენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისთვის (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბტუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი მიზნიდან (სპეციალობის შეცვლა) გამომდინარე, სხვადასხვა სფეროებში კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ამ პროგრამით სწავლის სასურველობა - გაეცნონ ვებგვერდზე განთავსებულ პროგრამის აღწერილობას და სპეციალობაში შიდა გამოცდების საკითხების ნიმუშს, გაესაუბრონ პროგრამის ხელმძღვანელს, დააზუსტონ ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამაზე სწავლის შესახებ.შესახებ.

პროგრამის განხორციელების დაწყების საპროგნოზო ვადა: 2024 -2025 აკადემიური წელი.